


# ქართული საქართველო



„ღვთისა და ერის წინაშე ვიყავი კეთილსინდისიერად  
აღვსრულო საქართველოს სახსრგარეგანი სსსმპროდორს  
წყვერის მოქმედება და მისი აღსრულებასი დავემორჩილო  
მხოლოდ საქართველოს კონსტრუქციას, არაფრს და არაფრს  
სხვას, ვინა საქართველოს კონსტრუქციას“

1

1997



**ა რ ნ ე  
მ ა შ რ ი რ ი**

*სლოვენის რესპუბლიკის  
საკონსტიტუციო სასამართლოს  
მრჩეველი*

**მოქალაქე - საკონსტიტუციო  
სასამართლოს მოსარჩელე**

საკონსტიტუციო სასამართლოს საქმისწარმოებას აქვს სარჩელის აღძვრით საქმის წარმოების ხასიათი (Juridiccion voluntaria). ძირითადად, საკონსტიტუციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით დაიწყოს საქმის წარმოება. როგორც წესი, იგი ეყრდნობა (შეზღუდულია) შესაბამის განცხადებას, შემოტანილს სპეციალური უფლებამოსილების მქონე, სათანადოდ კვალიფიცირებული ორგანოს ან პირის მიერ (ეგრეთ წოდებული კანონიერი მოსარჩელე). საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განხორციელებული კონსტიტუციური კონტროლის მაგალითები (ex officio) იშვიათია. ასეთ კონტროლს ხშირად ვხვდებით აღმოსავლეთ ევროპის კონსტიტუციური კონტროლის სისტემებში. უფრო მეტიც, იგი დაცულია

ხორვატიაში (ხორვატიის საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის მე-15 მუხლის მეორე პარაგრაფით), სხვა ქვეყნებში საქმის ex officio წარმოება არ არის ხშირი. მაგალითად, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლო თავისი ინიციატივით იწყებს საკანონმდებლო აქტისა თუ სტატუსის საკონსტიტუციო კონტროლს, თუ იგი შესაბამისი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის წარმოების საკითხებს ეხება. ყველა ზემოთ აღნიშნული საქმე შეიძლება განვიხილოთ როგორც საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტური ფორმა.

მეორე მხრივ, ზოგიერთ შემთხვევაში გათვალისწინებულია აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს მისაწვდომობა კერძო პირთათვის აბსტრაქტული ან სპეციფიკური კონტროლის ფორმით,

რომელიც დამყარებულია კონსტიტუციურ სარჩელზე, სახალხო სარჩელზე (actio popularis) და კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის სხვა ფორმებზე. ეს გულისხმობს ე.წ. სუბიექტურ კონსტიტუციურ კონტროლს, პიროვნების უფლებათა დარღვევის საკითხებს და პიროვნების უფლებათა დაცვას სახელმწიფოსაგან (კერძოდ, კანონმდებლისაგან). დიფუზიური საკონსტიტუციო კონტროლისა და კონცენტრირებული საკონსტიტუციო კონტროლის სახელმწიფოების მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ აღძრან საკანონმდებლო აქტების, ადმინისტრაციული ღონისძიებებისა თუ გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის საკითხი სპეციალურ საქმისწარმოებაში.

საკონსტიტუციო სასამართლო საქმისწარმოებას იწყებს მხოლოდ სარჩელის შემოტანის შემდეგ. მაშინაც კი, როგორც წესი, მოსარჩელეს უფლება აქვს, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე და ამგვარად, შეწყვიტოს საქმისწარმოება. ზოგიერთ სისტემაში ინდივიდუალური საკონსტიტუციო სასამართლოს მისაწვდომობა იმდენად ფართოდ არის გავრცელებული, რომ იგი უკვე ემუქრება საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციურ უნარიანობას (გერმანია). ამიტომ კანონმდებლები ცდილობენ მონახონ გზები, რათა საკონსტიტუციო სასამართლოს თა-

ვიდან ააცილონ ნაკლებად მნიშვნელოვანი ან არაპერსპექტიული საქმეების წარმოება (მაგ., აბსტრაქტული მიმოხილვის შეზღუდვა მუდმივი მოთხოვნებით). ყველა ეს პროცესი გამოხატავს მდგომარეობას, როცა მოსარჩელეს უშუალოდ უნდა ეხებოდეს სახალხო ხელისუფლების მიერ მიღებული კონკრეტული ღონისძიება. სარჩელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად მცირდება მათი დაკმაყოფილების პროცენტი. თუმცა მოქალაქეებს აქვთ თავიანთი კონსტიტუციური უფლებების დაცვის სხვა შესაძლებლობებიც. ამ სისტემებს შორის გამონაკლისია საფრანგეთი, სადაც ინდივიდს არა აქვს საკონსტიტუციო საბჭოსადმი მიმართვის უფლება, გარდა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხებისა. საფრანგეთში ადამიანის უფლებათა დაცვა სახალხო საბჭოს ამოცანაა, რომელიც მოქმედებს ადმინისტრაციული აქტის წინააღმდეგ მიმართული სარჩელის საფუძველზე.

ინდივიდის პეტიცია, რომლის კონსტიტუციური უფლებებიც დაირღვა, დაცვის სპეციფიკური პროცედურის საფუძველია, რომელშიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უფლებათა დაცვა კანონიერი საშუალებაა. სხვადასხვა სპეციფიკურ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვას სხვადასხვა ორგანოები ახორციელებენ.

### 1. ადამიანის უფლებები შეიძლება დაიცვან საერთო სასამართლოებმა

ა) ზოგიერთი სამართლებრივი სისტემა ადამიანის უფლებას იცავს საერთო სასამართლოების მეშვეობით. უმეტესად ეს ის სახელმწიფოებია, რომლებსაც მიღებული აქვთ სასამართლო კონტროლის ე.წ. "გაფანტული" ან "ამე-

რიკული მოდელი".

საერთო სასამართლოს მიერ უფლებათა დაცვის სპეციფიკური ფორმებია:

ბ) Habeas corpus პროცედურა, ე.ი. დაცვა თავისუფლების უსაფუძვლო აღ-

კვეთისაგან. განცხადება შეაქვთ შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოში. საქმისწარმოება ხასიათდება სისწრაფით, უშუალოდ და საჯაროობით.

გ) Habeas data habeas corpus-ს ქვესახე, რომელიც ბრაზილიაში შემოიღეს 1988 წლის კონსტიტუციით. ეს არის პიროვნების მიერ ინფორმაციული მონაცემების შესახებ გადაწყვეტილების მიღების გარანტია მისი პირადი საიდუმლოს დაცვის მიზნით.

დ) საქმისწარმოების ქვემოთ ჩამოთვლილი სახეები უმთავრესად გამოიყენება სახელმწიფოებში, რომლებსაც მიღებული აქვთ სასამართლო კონტროლის ამერიკული მოდელი.

- mandamus - პროცედურა, რომელიც საშუალებას აძლევს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გააუქმოს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს არასწორი გადაწყვეტილება.

- "აკრძალვა" (prohibition) - ზემდგომი სასამართლოს მიერ ქვემდგომი სასამართლოს იურისდიქციის მითვისების თავიდან აცილება.

- certiorari - ზემდგომი სასამართლოს უფლება, გადაწყვიტოს ქვემდგომი სასამართლოს კომპეტენციაში შემავალი გარკვეული საქმეები.

- quo - warranto - პიროვნების მიერ უკანონოდ მითვისებული საზოგადოებრივი ხასიათის ფუნქციების შესრულების თავიდან აცილება.

ე) Respondeat Superior - ინდივიდის შეგებებული სარჩელი სახელმწიფოს წინააღმდეგ (აშშ და ტაივანი, ამერიკული მოდელით).

2. უფლებათა დაცვის სპეციფიკური ფორმა, რომელიც ხშირად მოგვაგონებს კონსტიტუციურ სარჩელს, არის ეგრეთ წოდებული amparo. ეს არის ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური

და ტრადიციული ფორმა ესპანურ-ენოვან სახელმწიფოთა სამართლებრივ სისტემებში. amparo-ს მექანიზმი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას ხელისუფლების ნებისმიერი სახის ზემოქმედებისაგან. დაცვის ამგვარ საკითხებში უმთავრესად, სახელმწიფოს უზენაესი სასამართლოები არიან პასუხისმგებელნი. amparo საქმისწარმოების მიზანია აღადგინოს დარღვეული უფლება იმ ფორმით, როგორც იყო დარღვევამდე. ეს პროცედურა ხასიათდება სისწრაფით. მექანიკა არის კლასიკური amparo სახელმწიფო. მას მოჰყვება ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები.

3. სუბსიდიალური amparo კიდევ უფრო მეტად ჰგავს კონსტიტუციურ სარჩელს. ეს არის amparo-ს თავისებური ქვესახეობა, რომელიც გულისხმობს პროცედურის განხორციელებას საკონსტიტუციო სასამართლოში (ესპანეთი, კოლუმბია). დაცვის ამ ფორმას ეწოდება აგრეთვე accion de tutela. კოლუმბიური accion de tutela კონსტიტუციური სარჩელის მსგავსია. შემოღებულია კოლუმბიის 1991 წლის კონსტიტუციით. მასში კონსტიტუციური უფლებების ცული ზედმიწევნით განსაზღვრულია. ეს ფორმა იძლევა კანონისა და ნორმატიული აქტების გაუქმების შესაძლებლობას და ავსებს სახალხო სარჩელისა (actio popularis) და habeas corpus პროცედურას.

4. ბრაზილიამ 1988 წლის კონსტიტუციით ცნო ადამიანის უფლებათა დაცვის სპეციფიკური სამართლებრივი საშუალებები:

- mandado de segurança - დაცვის უფრო ფართო ფორმა (რომლის უზრუნველყოფაც არ შეუძლია უზენაეს სასამართლოს), გამოიყენება იმ უფლებათა დასაცავად, რომლებზეც არ ვრცელდება habeas corpus პროცედურა.

- mandado de injuncao - განსაკუთრებული ინდივიდუალური სარჩელი კანონმდებლობაში დაშვებული შეცდომის ან შეუსაბამობის შემთხვევაში.

5. ჩილემ 1980 წლის კონსტიტუციით შემოიღო amparo-ს სპეციალური სახეშეცვლილი ვერსია, ეგრეთ წოდებული recurso de proteccion.

6. სახალხო სარჩელი (actio popularis) შეიძლება შეიტანოს ინდივიდმა, უმეტესად შეზღუდვის გარეშე (გამონაკლისია სლოვენია და უნგრეთი, სადაც ეს უფლება შეზღუდულია მოსარჩელის სამართლებრივი ინტერესების მტკიცებულებათა საჭიროებით). ეს არის უფლებათა სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებული, კანონიერი საშუალება, როცა საქმე ეხება სახალხო ინტერესების დაცვის საკითხებს (მაშინ, როდესაც კონსტიტუციური სარჩელი გამოიყენება ინდივიდის ინტერესების დასაცავად).

სახალხო სარჩელი (actio popularis) მიმართულია ზოგადი აქტის (ჩვეულებრივ კანონის) წინააღმდეგ, რომლითაც ირღვევა კონსტიტუციური უფლება. საზოგადოდ, საკონსტიტუციო სასამართლო არის კომპეტენტური, მიიღოს გადაწყვეტილება სადავო აქტების შესახებ და ამავე დროს ზოგად კონტროლს უწევდეს უფლებათა დაცვას. სახალხო სარჩელი (actio popularis) ნაკლებად გვხვდება ევროპაში (ბავარია, თუმცა, გერმანიის სხვა პროვინციებში და ფედერალურ დონეზე მას არ იყენებენ). (უნგრეთი, სლოვენია, ხორვატია, მაკე-

დონია, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა და მის სტრუქტურაში - მონტენეგრო). ისრაელში სახალხო სარჩელი ხშირია საქმეებში, რომელიც ეხება ისრაელის საკუთრებას, დაცვის უფლება უმეტესად წყდება სასამართლოს მზადყოფნით მიანიჭოს საკუთრების უფლება; ყველაზე ფართოდ გავრცელებული ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში (კოსტარისკა, ელ-სალვადორი, კოლუმბია, ვენესუელა, ბრაზილია, პერუ, არგენტინა). სახალხო სარჩელები შედარებით იშვიათია აფრიკაში (ბენინი, კონგო, გაბონი, ბურკინა-ფასო, განა, ნიგერია, სიერალეონე-1991 წლის კონსტიტუციის შესაბამისად). აზიის ქვეყნებიდან სახალხო სარჩელი აღიარებულია მხოლოდ იაპონიაში მხოლოდ არჩევნებთან დაკავშირებით (ინდივიდთა ჯგუფის ან ობიექტური ინსტანციის ინიციატივით) და ირანში (სარჩელი ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სასამართლოსადმი).

7. შეიძლება გამოიყოს სახელმწიფო სამართლებრივ სისტემათა სპეციფიკური ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდთა უფლებების მხოლოდ არაპირდაპირ დაცვას:

-ნორმათა აბსტრაქტული კონტროლით (პოლონეთი, ბელორუსია, ბულგარეთი, იტალია, ბელგია); ან

-ნორმათა სპეციფიკური კონტროლით (ბულგარეთი, იტალია); ან

-ნორმათა პრევენტული აბსტრაქტული კონტროლით (საფრანგეთი).

II. კონსტიტუციური სარჩელები და მათი განფენილობა მსოფლიოში

კონსტიტუციური სარჩელი არის განსაკუთრებული, სუბსიდიარული (დამ-

ხმარე) სამართლებრივი საშუალება კონსტიტუციური უფლებების დარღვევის წი-

ნაადმდეგ. უმეტესად ხორციელდება ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ცალკეული აქტებით, რაც უფლებას აძლევს სუბიექტს, აღძრას საქმე და მოისმინოს იმ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც უფლებამოსილია უზრუნველყოს სადავო აქტების საკონსტიტუციო კონტროლი. კერძოდ, სადავოდ შეიძლება გახდეს ცალკეული აქტები (ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების), განსხვავებით სახალხო სარჩელისაგან, თუმცა შეიძლება ეს არაპირდაპირ (სლოვენია, ესპანეთი) ან პირდაპირ (გერმანია) ეხებოდეს კანონსაც.

*არის თუ არა უფლება კონსტიტუციური სარჩელი?* სლოვენიის საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს მოსაზრებას, რომ ეს არის სასამართლო საქმისწარმოების ინსტიტუტი ან განსაკუთრებული სამართლებრივი საშუალება.

კონსტიტუციური სარჩელი არ არის ახალი მოვლენა. მისი წინამორბედი შეიძლება ვიპოვოთ XIII-XVI საუკუნეების არაგონის კანონში (recurso de agravios, firme de derecho, manifestacion de personas ფორმით), გერმანიაში XV საუკუნის შემდეგ, გაერთიანებული 1495 წლიდან Reichskammergericht - ის ინსტიტუტში, გათვალისწინებული იყო კონსტიტუციის ცნობილ ტექსტში Paulskirchenverfassung, 1949 წელს; და ბოლოს, ბავარიაში გათვალისწინებული იყო 1808, 1818, 1919 და 1946 წლის კონსტიტუციებში; შვეიცარიაში სპეციალური კონსტიტუციური სარჩელი (Staatliche Verfassungsbeschwerde) შეიქმნა 1874 წლის კონსტიტუციაში და 1874 და 1893 წლის კანონებში.

კონსტიტუციური სარჩელი ძალიან ხშირია კონსტიტუციურ/სასამართლო კონტროლის სისტემებში. იგი ყველაზე ფართოდ გავრცელებულია

ევროპაში; გერმანიაში კონსტიტუციური სარჩელი გაჩნდა ფედერალურ და პროვინციულ დონეზე.

ევროპის ფარგლებს გარეთ კონსტიტუციურ სარჩელს ცნობს შემდეგი სისტემები: საქართველო (საკონსტიტუციო სასამართლო), ყირგიზეთი (საკონსტიტუციო სასამართლო), მონღოლეთი (საკონსტიტუციო სასამართლო, 1992 წლის კონსტიტუციის თანახმად), ჩრდილოეთი კორეა (საკონსტიტუციო სასამართლო 1987 წლის კონსტიტუციით), ტაივანი (უზენაესი სასამართლო), პაპუა-ახალი გვინეა (უზენაესი სასამართლო), სირია (საკონსტიტუციო სასამართლო). უნდა აღინიშნოს, რომ სხვა არაბულ ქვეყნებს, თუკი ისინი საერთოდ ცნობენ სასამართლო კონტროლს, მიღებული აქვთ ნორმათა პრევენტული კონტროლის ფრანგული სისტემა, 1958 წლის საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს მოდელის საფუძველზე, რომელიც არ ცნობს ინდივიდის პირდაპირ (უშუალო) მისაწვდომობას სპეციფიკური კონსტიტუციურ / სასამართლო კონტროლის ორგანოებისათვის. აფრიკაში მხოლოდ სუდანი (უზენაესი სასამართლო) ცნობს კონსტიტუციურ სარჩელს. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში კონსტიტუციურ სარჩელს იყენებენ მხოლოდ ბრაზილიაში - mandado de injuncao, საკანონმდებლო ხელისუფლების დაუდევრობის შემთხვევებში (უზენაესი სასამართლოს ხელისუფლება), თუ არ ჩავთვლით კოლუმბიურ accion de tutela-ს (საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლება), რომელსაც ჩვეულებრივ სუბსიდიალურ amparo-დ განიხილავენ.

გარკვეულ სისტემათა თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი აღიარებენ სახალხო და კონსტიტუციურ სარჩელთა ორივე ფორმის ერთობლიობას (სლოვენია, ხორვატია, მაკედონია, ბა-

ვარია, უნგრეთი, მალტა, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა და მონტენეგრო, კოლუმბია, ბრაზილია). ამ ორმა ფორმამ შეიძლება მეტოქეობა გაუწიოს ერთმანეთს, ორივე ფორმის მიზანია კონსტიტუციურ უფლებათა დაცვა: სახალხო სარჩელის (actio popularis) შემთხვევაში - საზოგადოებრივი და კონსტიტუციური სარჩელის შემთხვევაში - კერძო ინტერესებიდან გამომდინარე. ორივე შემთხვევაში მოსარჩელე ფიზიკური პირია. როგორც წესი, დავის საგანი სხვადასხვაა: სახალხო სარჩელი ეხება ზოგად აქტებს, კონსტიტუციური - კერძოს (გამონაკლისია საკანონმდებლო აქტების უარყოფა სლოვენიაში, ესპანეთში, იუგოსლავიის ფედერალურ რესპუბლიკასა და მონტენეგროში და საკანონმდებლო აქტების პირდაპირი უარყოფა გერმანიაში). მოსარჩელის მდგომარეობა ან მისი პირადი შეხედულება კონსტიტუციური სარჩელის საფუძველია. თუმცა შეიძლება გამოირიცხოს გამ-

საჩივრებლის მდგომარეობა, როგორც სახალხო სარჩელის წინაპირობა (სლოვენია, მაკედონია). ორივე სახის სარჩელის შემთხვევაში ინდივიდის მდგომარეობა ან პირადი შეხედულება მოქმედებს როგორც კორექტივი საკონსტიტუციო სასამართლოს ან სხვა კონსტიტუციურ - სამართლებრივი კონტროლის ორგანოთა გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად. ამავე მიზნით შეიძლება სარჩელის აღძვრისთვის გარკვეული თანხის გადახდა. საგულისხმოა, რომ კონსტიტუციურ სარჩელთა რიცხვი ყველგან იზრდება. ამის გამო ბევრმა საკონსტიტუციო სასამართლომ შეცვალა საქმიანობის ორგანიზაცია, შემოიღო კონსტიტუციური სარჩელებისთვის სპეციალიზებული კერძო სენატები (გერმანული ფედერალური და ესპანური საკონსტიტუციო სასამართლო) ან კონსტიტუციური სარჩელის გადაწყვეტა საკონსტიტუციო სასამართლოს შეზღუდული ერთეულების მიერ (სენატები, ქვესენატები, სლოვენიაში).

*კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტის ელემენტები*

- სარჩელთა წინასწარი შერჩევის სისტემა საქმისწარმოებაში (საქმის წარმოებაში ფილტრთა ინტეგრაცია) ყველაზე მეტად განვითარებულია გერმანულ სისტემაში (პოტენციურად წარუმატებელი სარჩელების "გაცხრილვის" მიზნით), სადაც განფენილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სარჩელების უარყოფის მანევრირების სივრცე. ეს იწვევს კონსტიტუციურ სარჩელთა შეზღუდვას, რომელიც ამავე დროს როგორც სამართლებრივი საშუალება, ყველასათვის ხელ-

მისაწვდომია. საკონსტიტუციო კონტროლის კერძო სისტემა კვლავ რთულია: გარკვეულ სისტემებში კონსტიტუციური სარჩელის წარდგინების წინადადებები ახალი შემოღებულია. ამ სამართლებრივ ინსტიტუტთან ახლომდგომი ზოგიერთი ინსტიტუტი ცდილობს შემოიღოს წინასწარი შერჩევის სისტემა. მეორე მხრივ, გარკვეული სისტემები ცდილობენ ამ ინსტიტუტების გაუქმებას.

კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით დაცვა ეხება კონსტიტუციურ

უფლებებს და თავისუფლებებს, კონსტიტუციური სარჩელით უფლებათა დაცვა ნაკლებ სპეციფიკურად არის განსაზღვრული გარკვეულ სისტემებში (სლოვენია, ხორვატია, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა და მონტენეგრო), სხვა სისტემები კი უმეტესად განსაზღვრავს დაცულ კონსტიტუციურ უფლებებს. კონსტიტუციური სარჩელის განსაკუთრებული ფორმები შეიძლება იცავდეს უფლებათა გარკვეულ კატეგორიებს.

- კონსტიტუციურ სარჩელში განხილული აქტები, როგორც კონსტიტუციური უფლებათა დაცვის წყარო, ეხება კერძო აქტებს, გარდა რამდენიმე გამოწვევისა.

- კონსტიტუციური სარჩელი უმეტესად შეაქვთ ფიზიკურ პირებს (გარდა ავსტრიისა, გერმანიისა, ესპანეთისა, შვეიცარიისა, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის და მონტენეგროსი), სადაც ამ უფლებით სარგებლობენ იურიდიული პირებიც. ხორვატიული სისტემა გამოირჩევა იურიდიულ პირს, როგორც პოტენციურ მოსარჩელეს. ზოგ სისტემაში სარჩელი შეიძლება შეიტანოს ომბუცმენმა (ესპანეთი, სლოვენია, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკა) ან საზოგადოებრივმა მაკონტროლებლებმა (ესპანეთი, პორტუგალია).

- აუცილებელი პირობაა პიროვნებისათვის არასასურველი შედეგები ან მისი ინტერესების დარღვევა, თუმცა უმრავლეს სისტემებში ინტერესების კონცეფცია არ არის საკმაო სიზუსტით განსაზღვრული.

- აუცილებელი პირობაა დაცვის კანონიერ საშუალებათა წინასწარი გამოკითხვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე ამ წინაპირობის შესრულების მიუხედავად.

- სარჩელის შეტანა შეიძლება 20 დღიდან 3 თვემდე ვადაში, 1 თვის ვადადებით, შემზღუდველი აქტის მიღების დღიდან.

- განცხადების წერილობითი შინაარსი სისტემათა უმრავლესობაში განსაზღვრულია დეტალურად: წერილობითი ფორმა, ხანდახან გადმოცემის ენის დადასტურებით (გერმანია, ავსტრია); აგრეთვე გარკვეულ ფორმათა, სადავო აქტთა, კონსტიტუციურ უფლებათა დარღვევის გარკვეულობის მითითებით.

- სისტემათა უმრავლესობა ითვალისწინებს დროებითი გადაწყვეტილების (ან საკონსტიტუციო სასამართლოს რეზოლუციის) მიღებას, სადავო აქტის სისრულეში მოყვანის დროებით შეჩერების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

- ზოგიერთ სისტემაში გადასახადი საქმის წარმოების ხარჯებისათვის წინასწარ განსაზღვრულია (გერმანია, ავსტრია, ესპანეთი, შვეიცარია).

- საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში შემოიფარგლება კონსტიტუციური და კონსტიტუციური უფლებათა დარღვევის საკითხებით. თუმცა, უფლებათა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში გადაწყვეტილებას შეიძლება ჰქონდეს კასატორული ეფექტი, როგორც წესი *inter partes* (და *erga omnes*, იმ შემთხვევებში, როცა გადაწყვეტილების ძირითადი საკითხი საკანონმდებლო დონისძიებაა). აქ საკონსტიტუციო სასამართლო იცავს უზენაესი სასამართლო ხელისუფლების პოზიციას. ამ სასამართლოების მოხსენიება შეიძლება საკასაციო სუპერ-სასამართლოებად, რადგან საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ამოწმებს ჩვეულებრივ სასამართლოთა გადაწყვეტილებებს, ფაქტობრივად მოქმედებს,



როგორც მესამე და მეოთხე ინსტანცია. თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია არა აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევებში იგი არის ერთადერთი კომპეტენტური სასამართლო, რომელიც განსჯის, დაარღვია თუ არა საერთო სასამართლომ მოსარჩელის უფლებები. იგი კონტროლს უწევს მიკროკონსტიტუციურობას და კანონის სისრულეში მოყვანას, რაც, რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი ფუნქციებიდან გადახვევაა. კონსტიტუციური კონტროლის შემთხვევებში ჩნდება მწვავე შეკითხვები კონსტიტუციური საზღვრების დადგენის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლო აქტივობასა და გადაწყვეტილების მიღებაში შეზღუდულია კონსტიტუციური სამართლით.

სლოვენის სისტემა განსაკუთრებულია იმით, რომ აქ საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლად შეუძლია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება კონსტიტუციური უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების შესახებ (სლოვენის საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილების მე-60 მუხლი 1-ლი პარაგრაფი, Official Gazette of the RS

No 15\94).

ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა საკონსტიტუციო სასამართლოთა უმრავლესობის მნიშვნელოვანი ფუნქციაა, მიუხედავად იმისა, კონსტიტუციური განსჯის ფუნქციის ნეგატიური თუ პოზიტიური მნიშვნელობით წარმოგვიდგებიან. იმ შემთხვევაში, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს "ნეგატიური საკანონმდებლო" ფუნქცია, ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში საკონსტიტუციო კონტროლი უმნიშვნელოვანესია. სხვა სფეროებში (სახელმწიფო ორგანიზაციული და ეკონომიკური კონსტიტუციური პრინციპების დაკონკრეტების საკითხები), სადაც საკანონმდებლო ხელისუფლებას ენიჭება მთავარი როლი, ძირითადი უფლებების დაცვაზე საკონსტიტუციო სასამართლო ზრუნავს.

უფლებათა დაცვის სფეროში საკონსტიტუციო სასამართლოს ეკისრება ასევე კონსტიტუციის შემქმნელის (Constitution - maker) შემცვლელი ფუნქცია ("პოზიტიური ფუნქცია"), რაც იმას ნიშნავს, რომ სპეციფიკურ საქმეებზე საკონსტიტუციო სასამართლოები განაგრძობენ კონსტიტუციის დებულებებს.

### III. ინდივიდუალური სარჩელის საერთაშორისო ფორმები

1. "კონსტიტუციური სარჩელის" შესახებ კონცეფცია დაკავშირებულია ძირითად უფლებათა საერთაშორისო კონსტიტუციურ დაცვასთან. რა თქმა უნდა, გარკვეული საერთაშორისო დოკუმენტები აგრეთვე ითვალისწინებს ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სპეციფიკურ სამართლებრივ საშუალებას სარჩელის სახით.

2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია მიღებული 1950 წლის 4 ნოემბერს, ინდივიდებს აძლევს ე.წ. ინდივიდუალური სარჩელის უფლებას (კონვენციის 25-ე მუხლი). ფიზიკურ პირს შეუძლია უფლებათა დაცვის ევროპულ საბჭოში შეიტანოს სარჩელი, კონვენციით განსაზღვრულ უფლებათა დარღვევის

მტკიცებით. ეს არის ნათლად გამოხატული საერთაშორისო-სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება შევადაროთ საკონსტიტუციო სარჩელის შიდასახელმწიფოებრივ მექანიზმს. იგი ახორციელებს ინდივიდუალური სარჩელის ფუნქციებს, იქ, სადაც საერთაშორისო კანონი არ განსაზღვრავს უფლებათა დაცვას. ინდივიდუალური სარჩელი არის დამხმარე საშუალება, რომლის გამოყენებაც განპირობებულია ეროვნულ საშუალებათა ამოწურვით. ეს არ არის სახალხო სარჩელი (actio popularis) და არ იძლევა რეტროსპექტულ ან საკასაციო ეფექტს. იგი განსხვავდება კონსტიტუციური სარჩელისაგან იმით, რომ მხოლოდ დარღვევის მოძიებით შემოიფარგლება.

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პოზიცია სახელმწიფო სამართლის სფეროში გამოიხატება იმით, რომ პიროვნებას შეუძლია მიმართოს კონვენციას ან დაეყრდნოს მის დებულებებს კონსტიტუციური სარჩელის აღძვრისას. კონვენცია ითვალისწინებს აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოსათვის კონვენციის დებულებათა განმარტებას. გარკვეული თავისუფლების მინიჭებას ფაქტობრივად, ეს განსაზღვრავს ურთიერთობას ეროვნულ საკონსტიტუციო სასამართლოებსა და ევროპის ორგანოებს შორის იმ შემთხვევებში, როცა სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც ე.წ. საბოლოო ეროვნული შედეგი, იქცევა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში აღძრული სარჩელის საგნად.

სლოვენიაში ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის "კონვენციას" 1993 წლის 14 მაისს და მისი რატიფი-

ცირება მოახდინა 1994 წლის 8 ივნისს (official Gazette of the RS, International Contract No 33\94). სლოვენის 1991 წლის კონსტიტუცია ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტს სპეციფიკური კონსტიტუციური და საკანონმდებლო დებულებებით: კანონები და სხვა ნორმატიული აქტები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს და საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელშიც სლოვენია მონაწილეობს. რატიფიცირებული და გამოქვეყნებული ხელშეკრულება დაუყოვნებლივ უნდა გამოიყენონ (კონსტიტუციის მე-8 მუხლი). საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს კანონების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობას რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებთან (კონსტიტუციის 160-ე მუხლი, პარაგრაფი 1, ქვეთავი 2; საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის 21-ე მუხლი, პარაგრაფი 1, ქვეთავი 2).

კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტი, ევროპული სარჩელი და ევროპული ორგანოების ფუნქცია (უპირველეს ყოვლისა - ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო) აყენებს საკითხს ეროვნული და ზეეროვნული უმაღლესი სასამართლო ინსტანციების შესატყვისობის შესახებ: საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, კერძოდ, კონსტიტუციურობის და კანონიერების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საკითხებში (საკონსტიტუციო სასამართლოს სტატუსი განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს 1994 წლის აქტის 1-ლი მუხლის 1-ლი პარაგრაფით), შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხასიათის სარჩელების განხილვით.

ფაქტობრივი მდგომარეობის დადგენის კონტროლი საერთო სასამართლოთა კომპეტენციაში შედის. კონსტიტუციური სარჩელის სუბსიდიალური ბუნება ჩანს იქაც, სადაც კომპეტენციები დანაწილებულია საკონსტიტუციო სასამართლოსა და ჩვეულებრივ სასამართლოებს შორის. ინსტანციათა გრადაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს, როგორც აღმასვლა ეროვნული უზენაესი სასამართლოდან, საკონსტიტუციო სასამართლოს გავლით, ევროპის კომისიასა და ევროპულ სასა-

მართლომდე. ფაქტობრივად, ამ გრადაციის დედააზრი არის არა ცალკეულ ინსტანციათა დადგენა, არამედ იმ არსებითი როლის განსაზღვრა, რაც განაპირობებს მათ ურთიერთშემავსებლობას. კონსტიტუციური სარჩელი ავსებს სახელმწიფოს შიგნით არსებულ სამართლებრივ საშუალებებს, მაშინ, როცა ზეეროვნულ ევროპულ ორგანოებში სარჩელის შეტანა ავსებს ეროვნულ კონსტიტუციურ სარჩელს.

#### IV. სლოვენია

##### 1. ისტორია

1963 წლის კონსტიტუციით შექმნილი სლოვენის საკონსტიტუციო სასამართლო ფლობდა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის იურისდიქციას. ამასთან იგი იღებდა გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლობის უფლებათა და სხვა ძირითად თავისუფლებათა, აგრეთვე მაშინდელი ფედერალური და რესპუბლიკური კონსტიტუციებით განსაზღვრულ უფლებათა დაცვის შესახებ, მაშინ, როცა ამ უფლებებს ფედერალური, რესპუბლიკური ან კომუნალური ორგანოს თუ კომპანიის ცალკეული აქტი ან დოკუმენტი არღვევდა (SRS-ის 1963 წლის კონსტიტუციის 128-ე მუხლი, მე-2 პარაგრაფი; და საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი Official Gazette of SRS No 39\63 და 1\64) საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დამტკიცებული დარღვევის შემთხვევაში კასატორული ეფექტი ჰქონდა (ცალკეული აქტის გაუქმება, კანონიერი ძალის წართმევა ან შესწორება და შესაძლო

შედეგების თავიდან აცილება, უწყვეტი საქმიანობის აკრძალვა). საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია მაშინ სუბსიდიალური იყო - საქმისწარმოების დაწყება შესაძლებელია მხოლოდ სპეციფიკურ შემთხვევებში, როცა გათვალისწინებული არ იყო სასამართლო დაცვა ან თუ ყველა სხვა იურიდიული საშუალება ამოიწურა.

თუმცა პრაქტიკაში მაშინდელი საკონსტიტუციო სასამართლო ინდივიდთა ამგვარ სარჩელებს უფლებამოსილების არქონის საფუძველზე უარყოფდა და მოსარჩელეს ჩვეულებრივი სამართალწარმოებისკენ მიუთითებდა. ასეთმა მდგომარეობამ შექმნა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულება, რადგან მას წარმატებით შეეძლო უარყოფა სარჩელები და ამგვარად გადაეწყვიტა მოუგვარებელი საკითხი. მაშინდელი საკონსტიტუციო სასამართლო იტყობინებოდა, რომ ცალკეულ აქტებთან მიმართებაში ყველაზე

გონივრული გამოსავალი იქნებოდა, თუ გადაწყვეტილებები მთლიანად ჩვეულებრივ სასამართლოებს გადაეცემოდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ნეგატიური იურისდიქციის გამო (მაშინ, როცა სხვა სამართლებრივი დაცვა არ იყო გათვალისწინებული) მისი საქმიანობა ამ საკითხთან დაკავშირებით ფაქტობრივად შედეგს არ იძლეოდა, თუმცა ეს საქმიანობა წამოწყებული იყო უფლებათა დაცვის მოტივით. ამასთან კონსტიტუციური კონტროლის მაშინდელი სისტემა ინდივიდს აძლევდა სახალხო სარჩელის შეტანის უფლებას საკუთარი პო-

ზიციის დაფიქსირების უფლების გარეშე.

მას შემდეგ კონსტიტუციურ სარჩელს არ დაუკავებია ადგილი ამ სისტემაში, ვიდრე 1991 წლის კონსტიტუციით კვლავ არ შემოიღეს. ამგვარად, მოხდა სპეციფიკური სამართლებრივი საშუალების კომბინირება უწინდელ სისტემასთან, ე. ი. სახალხო სარჩელთან (actio popularis) შესაბამისად, ინდივიდს შეუძლია იღავოს ზოგადად ყველა კატეგორიის აქტის თაობაზე კონსტიტუციური ან სახალხო სარჩელის (actio popularis) შეტანით, თუ იგი მას (ინდივიდს) უშუალოდ არ აკმაყოფილებს.

## 2. კონსტიტუციური სარჩელის სისტემა სლოვენიაში

სლოვენის 1991 წლის კონსტიტუციის დებულებები, რომლებიც აწესრიგებს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის პროცედურას, საკმაოდ მოკრძალებულ ადგილს იკავებს (კონსტიტუციის 160-ე და 161-ე მუხლები), კონსტიტუცია თავისთავად (კონსტიტუციის 160-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი) განსაზღვრავს სპეციალური კანონის არსებობას (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის 50-ე და მე-60 მუხლები. Official Gazette of RS, N 15\94).

საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს კონსტიტუციური სარჩელის საქმეებს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების დარღვევის მტკიცებით (კონსტიტუციის 160-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის მე-6 პუნქტი). ეს ფორმულირება მოიცავს კონსტიტუციით განსაზღვრულ ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, იმ საერთაშორისო

ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლებათა ჩათვლით, რომლებიც რატიფიკაციის შემდეგ სახელმწიფო სამართლის ნაწილი გახდა.

ნებისმიერ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს შეუძლია შეიტანოს კონსტიტუციური სარჩელი (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის 50-ე მუხლი, პარაგრაფი 1); ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველს (Ombudsman), (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტის 50-ე მუხლი, პარაგრაფი 2). კონსტიტუციური სარჩელის საგანი შეიძლება იყოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური აქტი, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს ან ძირითად თავისუფლებებს (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, პარაგრაფი 1).

კონსტიტუციური სარჩელის შეტანის წინაპირობაა სასამართლო დაც-

ვის კანონიერი საშუალებების ამოწურვა (კონსტიტუციის 160-ე მუხლის მე-3 პარაგრაფი; საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მუხლი 51, პარაგრაფი 1). გამონაკლისის სახით (ამგვარ გამონაკლისს მხოლოდ გერმანიისა და შვეიცარიის სისტემები აღიარებს) საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება განიხილოს კონსტიტუციური სარჩელი ყველა კანონიერი საშუალების ამოწურვამდე, prima sacre-ს დარღვევის შემთხვევებში და მაშინ ინდივიდუალური აქტის განხორციელებამ მოსარჩელისათვის შეიძლება გამოუსწორებელი (უკუქცევით) შედეგები გამოიწვიოს (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მუხლი 51, პარაგრაფი 2). კონსტიტუციური სარჩელის შეტანა შეიძლება ინდივიდუალური აქტის მიღებიდან 60 დღის განმავლობაში (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 52, პარაგრაფი 1), თუმცა, თუ არსებობს საპატიო მიზეზები, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი შეიძლება განიხილოს დროის ამ მონაკვეთის გასვლის შემდეგაც (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 52, პარაგრაფი 3). სარჩელი უნდა შეიცავდეს სადავო ინდივიდუალური აქტის დასახელებას, უნდა მიუთითებდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევის ფაქტებზე (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 53, პარაგრაფი 1) წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, უნდა დაერთოს შესაბამისი აქტის

ასლი და სათანადო დოკუმენტაცია (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 53, პარაგრაფი 2 და 3).

კონსტიტუციური სარჩელის მიღების საკითხს დახურულ სხდომაზე წყვეტს სენატი 3 მოსამართლის შემადგენლობით. (კონსტიტუცია, მუხლი 162, პარაგრაფი 3; საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 54. პარაგრაფი 1) საკონსტიტუციო სასამართლოს საჭიროებისამებრ შეუძლია რამდენიმე სენატი შექმნას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებასთან დაკავშირებით (allowability) საბოლოოა (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 55, პარაგრაფი 3). კონსტიტუციურ სარჩელს მოპასუხე შეიძლება გაეცნოს მის განსახილველად მიღებამდე, ან შემდეგ (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 56). საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელს ჩვეულებრივ დახურულ სხდომაზე იხილავს, მაგრამ დასაშვებია ღია მოსმენაც (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 57). საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ინდივიდუალური აქტის, კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების, აგრეთვე იმ ზოგადი აქტების დროებით შეჩერების შესახებ, რომლის საფუძველზე მიღებულია სადავო ინდივიდუალური აქტი (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 58).

*საკონსტიტუციო სასამართლოს in merito გადაწყვეტილებით შეუძლია:*

- უარყოს სარჩელი, როგორც უსაფუძვლო (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 59, პარაგრაფი 1);
- ნაწილობრივ ან სრულად გაა-

უქმოს, ან კანონიერი ძალა დაუკარგოს სადავო აქტს, ან დაუბრუნოს კომპეტენტურ ორგანოს საკითხის გადასაწყვეტად (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი,

მუხლი 59, პარაგრაფი 1);

- გააუქმოს (ex officio) არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტები ან ზოგადი აქტები, თუკი ჩათვლის, რომ გაუქმებული ინდივიდუალური აქტი ეფუძნება ამგვარ ნორმატიულ თუ ზოგად აქტს (კონსტიტუცია, მუხლი 161, პარაგრაფი 2; საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 59, პარაგრაფი 2);

- სადავო ინდივიდუალური აქტის გაუქმებისას საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია საჭიროებისამებრ გადაწყვიტოს არასასურველი შედეგების თავიდან აცილების საკითხი.

დარღვეული უფლებები და თავისუფლებები უნდა აღადგინოს იმ ორგანომ, რომელსაც აქვს შესაბამისი იურისდიქცია. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია თავიდან განსაზღვროს ასეთი ორგანო (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 60, პარაგრაფი 2).

შესაბამისად, სლოვენის კანონმდებლობის თავისებურებანი ასეთია:

- კონსტიტუციური სარჩელის აღძვრის აუცილებელ პირობად არ მიიჩნევა დაცვის კანონიერ საშუალებათა ამოწურვას (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 51);

- სხვა სისტემებთან შედარებით იძლევა კონსტიტუციური უფლებების ფართო ჩამონათვალს, რომელთა დაცვაც შესაძლებელია კონსტიტუციური სარჩელის შეტანით;

- სასამართლოს გადაწყვეტილება კონსტიტუციური დავის პოტენციური საგანია, რაც საკმაოდ იშვიათია;

- Ex officio საქმის წარმოება, როცა საკონსტიტუციო სასამართლო არ შემოიფარგლება სარჩელით, ხოლო აღმოაჩენს, რომ გაუქმებული ინდივიდუალური აქტი დაფუძნებულია არაკონსტიტუციურ ნორმატიულ აქტზე ან ზოგად აქტზე - შეიძლება გააუქმოს ნორმატიული აქტი ან

ზოგადი აქტი (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 59, პარაგრაფი 2);

- კონსტიტუციური და სახალხო სარჩელები (actio popularis) განსხვავდება განხილვის წესითაც; უკანასკნელი შეზღუდულია მხოლოდ უცვლელი მოთხოვნებით აპელაციისათვის.

- საქმის წარმოებაში არ არსებობს განსაზღვრული სასამართლო შესატანი. ყველა მხარე ფარავს თავის ხარჯებს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის წარმოებისას, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ - სხვა რამ არ იქნება დადგენილი (საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი, მუხლი 34, პარაგრაფი 1).

ადამიანის უფლებათა სამართლებრივი დაცვის ბირთვი შეტანილია კონსტიტუციურ სარჩელში, რადგან:

- ადამიანის უფლებები არის დემოკრატიული სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილი.

- კონსტიტუციური სარჩელი არის კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის (მხოლოდ) ერთი კანონიერი საშუალება.

- კონსტიტუციური სარჩელი არ არის კონსტიტუციური უფლება, მიუხედავად იმისა, რომ იგი არის ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვანი საშუალება, დაკავშირებული თვით ამ უფლებებთან; კონსტიტუცია განსაზღვრავს კონსტიტუციურ სარჩელს ისევე, როგორც უფლებებს, რომლებსაც იგი იცავს. ამასთანავე კონსტიტუციური სარჩელი შეზღუდულია კანონით, საკონსტიტუციო სასამართლოს პროცესუალური საზღვრების მითითებით.

- მისი ეფექტიანობა სადავოა, რადგან წარმატებული კონსტიტუციური სარჩელები, როგორც წესი, მცირერიცხოვანია. არაეფექტიანობა ხშირად არის საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი საქმეებით გადატვირთვის შედეგი.

*ადამიანის უფლებათა დაცვა სლოვენის  
საკონსტიტუციო  
სასამართლო პრაქტიკის მიხედვით*

1963 წლის კონსტიტუციით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღების უფლება მიენიჭა, ისევე როგორც დამოუკიდებლობის უფლებების და სხვა ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა (რაც განსაზღვრული იყო როგორც ფედერალური, ისე ფედერალური სახელმწიფო კონსტიტუციით), როცა ეს უფლებები ირღვეოდა ხელისუფლების ინდივიდუალური აქტის, საკომუნიკაციო ორგანოების და სხვა ორგანიზაციების მიერ და სხვა სამართლებრივი დაცვა არ იყო განსაზღვრული საკანონმდებლო აქტით (SRS-ის კონსტიტუცია, მუხლი 228, პარაგრაფი 3). შემდგომი დეტალები მიიღო საკონსტიტუციო სასამართლოს აქტით (official Gazette of the SRS, No 39/63 და 1/64).

მაშინდელი საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკის მაგალითები მოწმობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უმეტესად უარყოფდა ინდივიდთა სარჩელებს უფლებამოსილების არქონის გამო და ამგვარ სარჩელებს საერთო სასამართლოებს გადასცემდა. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა ძირითად კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკითხებში უმეტესად ემყარებოდა მოქალაქეების მიერ შეტანილ პეტიციას. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის საწყის პერიოდში, 1963 წლის შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია. შეიძლება ეს განპირობებული იყო

არასაკმარისად სპეციფიკური კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლით, რასაც საკონსტიტუციო სასამართლო უნდა უზრუნველყო საკმაოდ პრაქტიკული სტანდარტებით გადაწყვეტილების მიღების (decision - making) პროცესში. მიზეზი ალბათ მთელი სისტემაა, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს არ უწევდა დახმარებას ძირითადი უფლებების დაცვაში.

1974 წლის კონსტიტუციამ საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოაშორა ინდივიდუალურ კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა იურიდიქცია და მათი დაცვა დაავალა ჩვეულებრივ სასამართლოებს. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მეორე პერიოდში, 1974 წლის კონსტიტუციიდან 1991 წლის კონსტიტუციამდე, კონსტიტუციურად დაცულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა. ამ მხრივ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაკონკრეტების მაგალითები, შრომის თავისუფლება, სოციალური უსაფრთხოების უფლება საგანგებო მნიშვნელობისაა. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა უმრავლესობა დასაბუთებას ნაკლებად შეიცავდა.

სლოვენის საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკისათვის 1991 წლამდე დამახასიათებელი იყო ის, რომ ევროპისაგან განსხვავებით, მან ბევრი სამართლებრივი პრინციპის გამოყენება გააუქმა, მათ შორის კონსტიტუციის

ტექსტში შეტანილი პრინციპებისაც. მსგავსად საზღვარგარეთული პრაქტიკისა, რა თქმა უნდა, თანასწორობის პრინციპს გაბატონებული ადგილი ეკავა სხვა, უფრო იშვიათად გამოყენებულ პრინციპებს შორის. გადაწყვეტილებები რჩებოდა სამართლებრივ - ფორმალურ არგუმენტთა ჩარჩოებში და სხვა ღონისძიებათა მიზნით არ იყო გათვალისწინებული. საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებდა თვითშეზღუდვის პრინციპს და ერთგულებას იჩენდა კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის პრეზუმფციისადმი.

სლოვენის 1991 წლის ახალმა კონსტიტუციამ კლასიკურ ძირითად უფლებათა და საკონსტიტუციო სასამართლოს ახლად განსაზღვრულ უფლებამოსილებათა კომბინირებით მოამზადა ამ დარგში საკონსტიტუციო სასამართლოს როლის ინტენსიფიკაციის (გაძლიერების) საფუძველი. მიჩნეულია რომ ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი საქმიანობისთვის საკმაო სიერცე აქვს. სლოვენის კონსტიტუცია შეიცავს უფლებების ადეკვატურ მნიშვნელობას, რომელიც გათვალისწინებულია პროფესიულად სწორი გაგებისა და მსჯელობისათვის. ყველა ძირითად უფლებას აქვს სამართლებრივი პრინციპის ხასიათი და "ღიაა" იმდენად, რამდენადაც შემდგომ დაკონკრეტებასა და შესრულებას საჭიროებს.

კითხვას, ადაპტირებულია თუ არა სლოვენის საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკა 1991 წლის კონსტიტუციის შემოღების შემდგომ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისადმი დამოკიდებულებით უცხოურ საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკასთან, შეიძლება

ასეთი პასუხი გაეცეს: სლოვენური საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკა უცხოურ სასამართლო პრაქტიკას უახლოვდება ძირითადი უფლებებისადმი მიდგომის მხრივ. ამის დამადასტურებელი მაგალითების რაოდენობა გაიზარდა. ამასთანავე, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში ინდივიდუალურ უფლებათა "სიხშირე" უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის პრობლემით მიმართავს მოსარჩელე ამ სასამართლოს. ახლა საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურობის დამცველია იმ თვალსაზრისით, რომ იგი წყვეტს არა მხოლოდ უფლებათა კონსტიტუციურ დებულებებთან, ზოგად საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობის საკითხს (ზოგადი სამართლებრივი აქტების აბსტრაქტული და სპეციფიკური მიმოხილვის მნიშვნელობით), არამედ აგრეთვე იხილავს კონსტიტუციურ სარჩელებს ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ინდივიდუალური აქტებით დარღვევის წინააღმდეგ (კონსტიტუცია, მუხლი 160, პარაგრაფი 1, მუხლი 162).

რა თქმა უნდა, საჭიროა დავამატოთ, რომ ახალმა კონსტიტუციამ ამ პრინციპის შესაბამისად, ოდნავ შეზღუდა ინდივიდთა ზოგადი აქტების გაუქმების ფართო შესაძლებლობები. ყველას შეუძლია საქმისწარმოების დასაწყებად პეტიცია შეიტანოს, თუკი თავის პოზიციას დაამტკიცებს. ამ ახლად განსაზღვრული დებულების დაკონკრეტება არის ერთერთი საკითხი, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლო რამდენადმე დაინტერესებულია.

*თარგმნა ეკა ხარაბაძემ*